

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

დადგენილება #აგ-0912-21
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

25.03.2021წ.

ქ. თბილისი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისია;

2. საქმის განხილვის თარიღი: 2021 წლის 25 მარტი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ვასიკო ხუბულური 3/5 31001048323 მცხეთა, სოფ.მუხრანი მე-9ქ. პირველი შეს. N6

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტ სოფ.მუხრანში აბონენტ ვასიკო ხუბაევს (აბ.4110116471), დავალიანების გამო შეუწყდა ელ.ენერგიის მიწოდება, შემოწმებისას 2021 წლის 19 მარტს დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა შეწყვეტილი ელ.ენერგიის თვითნებურ აღდგენას (დაზიანდა მრიცხველის საბოქლომე ყური). აღნიშნულ ფაქტზე ამავე დღეს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N ას009043 სადაც სამართალდამრღვევად მიჩნეულ იქნა ვასიკო ხუბულური (3/5 31001048323) რომელიც აღიარებს მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. ვასიკო ხუბულურის მიერ განხორციელებული (სამართალდარღვევა) წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2021 წლის 25 მარტს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. ვასიკო ხუბულურს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა სხდომაზე არ გამოცხადდა, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ სხდომის გადადების თაობაზე სამართალდამრღვევს არანაირი განცხადებით არ მოუმართავს. ამდენად, კომისია უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; დამრღვევის ახსნა-განმარტება და შეტყობინება. (საქმეში ასევე წარმოდგენილია აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი #A759428 სადაც აღნიშნულია რომ ადგილი ჰქონდა, შეწყვეტილი ელ.ენერგიის თვითნებურ აღდგენას) რომელთა მეშვეობითაც დგინდება ვასიკო ხუბულურის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ასკ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილით; მე-10; 38-ე; 228²-ე; 236-ე; 264-ე; 266-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით; 267-ე; 271-ე; 273-ე მუხლებით; სემეკის 12.08.10წ. #14 და 18.09.2008წ. #20 დადგენილებებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 16.09.2009წ. # RU2010009 წესით, 23.05.2019წ. #OR2019028 ბრძანებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ვასიკო ხუბულური პ/ნ 31001048323 ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ა.ს.კ. 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილების სახით.

(სამართალდამრღვევის ჩამდენი პირის დაახელება)

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15 000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ნიკო გოგიტიძე
კომისიის თავმჯდომარე